სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 ივლისი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება №06-01/50

ბსუ-ს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. 2024-2025 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. **შემოდგომის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2024 წლის 23 სექტემბერს** და დასრულდეს **2025 წლის 11 იანვარს;**

ბ) სტუდენტთა **აკადემიური რეგისტრაცია** ან/და ცვლილებების შეტანა (სასწავლო კურსების რეგისტრაცია/არჩევა) **დასრულდეს 2024 წლის 15 სექტემბერს** (გარე მობილობით ჩარიცხული სტუდენტების, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე **სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების** (რომლებიც 2024-25 სასწ. წლის შემოდგომის სემესტრიდან დაბრუნდებიან სასწავლო პროცესში) **აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს** 2024 წლის 23 სექტემბრიდან 15 დღის ვადაში - 2024 წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით;

გ) **საშობაო არდადეგები** - 2024 წლის 30 დეკემბრიდან 2025 წლის **8 იანვრამდე;**

დ) **ძირითადი გამოცდები** - 2025 წლის 13 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები - 2025 წლის 3 თებერვლიდან 8 თებერვლის ჩათვლით.

1.2. **გაზაფხულის სემესტრში:**

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2025 წლის 4 მარტს** და დასრულდეს **2025 წლის 14 ივნისს;**

ბ) სტუდენტთა **აკადემიური რეგისტრაცია** ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს** 2025 წლის 22 თებერვალს (გარე მობილობით ჩარიცხული სტუდენტების, ასევე პირადი განცხადების საფუძველზე **სტატუსშეჩერებული ბსუ-ს სტუდენტების** (რომლებიც 2024-25

სასწ. წლის გაზაფხულის სემესტრიდან დაბრუნდებიან სასწავლო პროცესში) **აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს** 2025 წლის 04 მარტიდან 15 დღის ვადაში;

გ) **ძირითადი გამოცდები** - 2025 წლის **16 ივნისიდან 5 ივლისის** ჩათვლით, ხოლო **დამატებითი გამოცდები** - 2025 წლის **7 ივლისიდან 12 ივლისის** ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება - 2025 წლის 14 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით;

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.

4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

5. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) და ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს პორტალზე, ბსუ–ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტუდენტთა ქუჩა ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**